

## ათ'კაცის [10კ] ვარიაციები

ათ'კაცის [10კ] წესები შვიდ'კაცის [7კ] წესთა მსგავსია – ალაგ-ალაგ იცვლება მხოლოდ რაოდენობები [ქვემოთ ამ ტიპის 5 განსხვავება გაყვითლებულია]

წესების ბოლო ქართულ თარგმანში [2018] სადაც კი მოტანილია შვიდ'კაცის ვარიაციები – იმავე გვერდების მითითებით ასე ყალიბდება [ფორმულირდება] ათ'კაცის სათანადო დებულებები, მწვანე არა'ფორმალური განმარტებებით

### გვ.19

3.1. თამაშის დროს გუნდს [სათამაშო] არეში შეიძლება ჰყავდეს მაქსიმუმ 10 მოთამაშე.

3.4. ნაკრებთა თამაშზე გუნდს შეუძლია იყოლოს და გამოიყენოს მაქსიმუმ 5 შემცვლელი [სათადარიგო].

3.5. სხვა რანგის თამაშებზე ორგანიზატორს შეუძლია შემცვლელთა რაოდენობის შეცვლა – ზღვარი დადგენილი არაა.

3.6. ძირეული განსხვავება: შეცვლათა რაოდენობა შეუზღუდავია.

შეცვლა ნება'დართულია ნებისმიერ დროს – გაგანია თამაშშიც კი.

შემცვლელს მოედანზე შესვლა შეუძლია მხოლოდ შუა ხაზზე – მას შემდეგ, რაც შესაცვლელი მოედნიდან გამოვა. \* სასჯელი: ჯარიმა.

### გვ.23

5.1. თამაში გრძელდება 20 წუთს და იყოფა ორ 10-წუთა ტაიმად. ტაიმებს ემატებათ მათში "გაცდენილი დრო". ორგანიზატორს შეუძლია თამაშის ხანგრძლივობის შეცვლა.

თუ ფრეზე დასანიშნია "დამატებითი დრო", იგი – 1-წუთიანი შესვენების შემდეგ – თითო თითოდ, 5-წუთა მონაკვეთებად ეწყობა. თითოეულის შემდეგ გუნდები მოედნის მხარეებს შეუსვენებლივ ცვლიან.

5.2. ტაიმებს შორის შესვენება მაქსიმუმ 2 წუთია.

### გვ.29

6.3'. "დამატებითი დროის" წინ მსაჯმა წილი ხელ'ახლა უნდა ჰყაროს ტრადიციული ხერხით.

ზედმეტია 6.31-36. ათ'კაცას ლელოს მსაჯები არ ჭირდება.

### გვ.34

8.7. ლელოს გამტან გუნდს შეუძლია გარდასახვის დარტყმა – მხოლოდ არეკნით.

8.8.დ. ეს [არეკნით] დარტყმა უნდა შესრულდეს ლელოს ჩათვლიდან [სათამაშო დროის] 30 წამში. \* სასჯელი: გარდასახვა უქმდება.

8.14. მეტოქის ყველა მოთამაშე უმაღლეს და მოგროვდეს თავის 10-მეტრა ხაზთან.

8.21. [ჯარიმიდან] კარში დარტყმა [არეკნით] უნდა შესრულდეს განზრახვის გამხელიდან [სათამაშო დროის] 30 წამში. \* სასჯელი: დარტყმა უქმდება და ინიშნება [მეტოქის] შერკინება.

8.24. [ჯარიმიდან] კარში დარტყმა უნდა შესრულდეს მხოლოდ არეკნით. \* სასჯელი: [მეტოქის] შერკინება.

8.30. "დამატებით დროში" პირველივე ბურთის გამტანი გუნდი გამარჯვებულად ცხადდება და თამაში მთავრდება – ლელოს შემდეგ გარდასახვა აღარ ირტყმება.

გვ.38

9.28. თუ მსაჯი მოთამაშეს დროებით – [სათამაშო დროის] 2 წუთით აძევებს – მას "ყვითელი ბარათს" უჩვენებს.

თუ ამ მოთამაშემ მერე "ყვითელი" კიდევ დაიმსახურა – მსაჯი მას ბოლომდე | წითლით გააძევებს.

გვ.45

12.4. ბურთის გატანის შემდეგ თამაშს განაახლებს იგივე – "ბურთის გამტანი" გუნდი – გარდასახვიდან | გოლიდან 30 წამში. \* სასჯელი: თავისუფალი.

ცენტრიდან დარტყმის დროს ნებისმიერი დარღვევისთვის [12.2, 12.5.ა, 12.6, 12.8, 12.9 მუხლები] მეტოქეს ცენტრში ერგება თავისუფალი.

12.12.ბ. "22-დან | ლელოდან განახლებისას" არეკნი უნდა შესრულდეს [დანიშნვიდან] 30 წამში. \* სასჯელი: თავისუფალი.

გვ.78

19.5. ნებისმიერ შერკინებაში [თითო] გუნდმა ორ ხაზად უნდა დააყენოს ხუთი მოთამაშე:

პირველ ხაზში – სამი კაცი: ორი ბურჯი [აქეთ-იქით] და ერთი კვაჭი [შუაში]; მეორეში – ორი კაცი.

ხუთივენი შერკინების დასრულებამდე შეკრულნი უნდა დარჩნენ და ბურთის სათამაშოდ არ წამოდგნენ | "მოეხსნან". \* სასჯელი: ჯარიმა.

შერკინება დასრულებულია, თუ ...

36ბ. ბურთი ცხრამ გა[მო]იტანა.

გვ.81

20.8. [ჯარიმიდან] ბურთის დარტყმა შეიძლება ხელიდან | არეკნით -- მაგრამ არა მიწიდან. \* სასჯელი: [მეტოქის] შერკინება.

...